PROFILES

Professional Reflection Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

ჰოლივუდის ღიმილი

რუსუდან გულიაშვილი,
თბილისის 115-ე საჯარო სკოლა. 2014 წელი

პროექტის შინაარსი

• დავაკავშიროთ ქიმია ცხოვრებაში გამოყენებულ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებთან, კერძოდ კბილის პასტის შესწავლით, გავზრდით მოსწავლეთა ინტერესს ქიმიის , როგორც საგნის მიმართ და შესაძლებლობა გვექნება შევისწავლოთ როგორც ქიმიური ელემენტი, ასევე ქიმიური ნივთიერებები.

მიზნები და ამოცანები

მოსწავლეები შეძლებენ:

• შეისწავლონ ჰალოგენშემცველი ნივთიერებები და მათი თვისებები.
• ელექტრონული წყაროდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზებას, შეფასებას და ორგანიზებას..
• კვლევის საფუძველზე დაასაბუთონ თითეული მასალის შემადგენლობა
• ნიმუშების შეფასებას და მათი მახასიათებელი ნიშნების პრეზენტაციის გაკეთებას.

მოდულის დანერგვის პროცესი

PROFILES პროექტის მოდულის ,, ჰოლივუდის ღიმილი", ჩემს სკოლაში გადატანა და განხორციელება, გადავწყვიტე სკოლის პირობების გამო, რომელიც შეესაბამებოდა მოდულის ხელმისაწვდომობას.

მოდული დაინერგა საშუალო საფეხურის, მრავალრიცხოვან კლასში. ინტერესი მოდულის განხორციელებისათვის, მოსწავლეებში უფრო გააღრმავა, იმ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც PROFILES -ის პროექტის ფარგლებში ჩაატარდა მოდულის დანერგვამდე .

პირველ რიგში მოვახდინე საკუთარი თავის ორიენტირება;

• როგორ მოვახერხო მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა?
• როგორ დავუკავშირო თანამედროვე პრობლემებს?
• როგორ მივაღწიო მოსწავლეთა კვლევითი უნარების განვითარებას?
• როგორ შევუწყოთ ხელი მიზნისაკენ ლოგიკური თანმიმდევრობით სვლას?

დაინტერესება საკითხის შესახებ საკმაოდ აქტიური იყო, მოძიებული მასალა კი საკმარისი, იმისათვის რომ მოდულის პირველ ნაწილში მიღებული ინფორმაცია, უკვე ექსპერიმენტულად, თვითონ მოსწავლებს შეესრულებინათ, აეღოთ საჭირო მონაცემები და მიღებული შედეგების შედეგად დასკვნები გამოეტანათ.

მოდულის ექსპერიმენტალური სამუშო დადებითი მხარე

• გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ.
• შეიძინეს კვლევის, ექსპერინემტის დაგეგმვის და განხორციელების, ანალიზის, შეფასების, ინტეგრაციის უნარები.
• შეიქმნა მოტივაცია ძიებით, კეთებით სწავლების, არა მარტო დანერგვის კლასის მოსწავლეებში არამედ მთელ სკოლაში.

სუსტი მხარე

• ექსპერიმენტალურ ნაწილში, მოსწავლეთა გამოუცდელობა.
• შეცდომები, ინსტრუქციის არასრულყოფილად წაკითხვის გამო.
• მოსწავლეთა მრავალრიცხვიანობა.
• სკოლაში არასრულყოფილი ტექნიკური მომსახურება.
• არასწორად შერჩეული ასაკობრივი კლასი.

მოდულის დროს გამოყენებული დამატებითი მასალა

იწდ, მოსწავლის დამხმარე მასალა

მწოგლის მოსაწვევი ბრომური

მოდულის დანერგვის შემდეგ.....

• მოდულის დანერგვის შემდეგ მოხდა ,ხსვა კოლეგების დაინტერესება მსგავსი პროექტების, მოდულების შერჩევისა და საგაკვეთილო გამოყენებისათვის.
• ჩემთვის, როგორც მასწავლებლისათვის იყო დიდი მოწოდება მსგავსი მოდულები შევიტანო ხშირად კლასებში, მოვახდინო მათი მოდიფიცირება და მორგება სასწავლო გარემოსთან. რადგან კვლევაზე დაფუძნებული საბუნებისმეტყველო განათლების განვითარება ხელს უწყობს ჩემს თვითეფექტურობის გაზრდას სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლებაში.

SEVENTH FRAMEWORK PROGRAMME

The PROFILES project has received funding from the European Community's Seventh Framework Programme under grant agreement no. 266589